

წარსულში მოგზაურობა თეკლასთან და ერეკლე მეორესთან

დიახ, მეც ხშირად მიმიღია ტკბილეული ან ელექტრონული გზავნილები მამიკოსგან, მაგრამ როდესაც ერეკლე მეფის წერილი წავიკითხე თითქოს უფრო სხვა რამ ვიგრძენი რაღაც დიდი და ყველაზე სასიამოვნო. ვიგრძენი დიდი სიყვარული რომელიც ჩაქსოვილი იყო ერეკლე მეფის დაწერილ თითოეულ სიტყვაში. როგორ გამორჩეულად აკვირდებოდა ერეკლე მეორე თითოეულ ასოს რომელსაც მისი თეკლა წერდა, როგორ ამკობდა მას ნაირ ნაირი სიტყვებით და როგორ უწოდებს მის ნაწერს ღრმააზროვანსა და სიბრძნით სავსეს. წერილში მეფე თეკლას საყვარელი ტკბილეულების გამოგზავნას პირდება. მე დიდად არც გამკვირვებია მეფის ასულს ასე რომ უყვარდა ტკბილეულები რადგან ყოველ ჩვენგანს, ბავშვებს ხშირად დიდებსაც კი ძალიან უყვართ ტკბილეული. მამამისის დაპირება კი ალბათ თეკლას ძალიან გაახარებდა. წერილიდან ჩემთვის ბევრი რამ ხდება აშკარა მაგალითად, რომ ერეკლე მეორე ძალიან კარგი მამა იქნებოდა რასაც მისი დაკვირვებულობა და დაპირებები ცხადყოფს. დასაწყისში ის თეკლას უდიდეს სიხარულს ბედნიერებას და თითქოს მშობლების ამომავალ მზეს უწოდებს. 239 წლის წინ რომ მეცხოვრა აუცილებლად ვიცი რომ ასეთ სიუჟეტს დავინახავდი.

დილაობით ცოტა გვიან გაღვიძებულ თეკლას მამა წასული ხვდება, ის კი ალბათ ფიქრობდა რომ დღეს მამასთან ერთად გაატარებდა და ტკბილეულს შეექცეოდა. საათები გადიოდა საათებს კი დღეებიც მიყვებოდა თეკლამ მოიფიქრა წერილების მიწერა მეფისთვის და თავისი სიბრძნის ამ წერილებში ჩაქსოვა. თეკლა წერილს წერდა შემდეგ კი გზავნიდა. მამამისი რაც შეეძლო სწრაფად პასუხობდა ამიტომაც თეკლა გათამამდა და უფრო მეტი წერილების წერა დაიწყო. წერილის გაგზავნის შემდეგ მომდევნო დილას სიხარულით იღვიძებდა და მსახურებს ეკითხება თუ გამოუგზავნა მეფემ წერილი უკან, უარყოფითი პასუხის შემდეგ ხანდახან მოწყენილია მაგრამ მამას უგებს იცის რომ ბევრი საქმე აქვს. ერთ დღეს როდესაც ერეკლე მეფემ წერილი მისწერა ძალზედ გახარებული იყო, ბევრ ადამიანს უკვირდა თუ რატომ იყო ასეთი გახარებული ბოლოს კითხეს კიდევაც მაგრამ პასუხი იცით რა იყო? მეცხრე ცაზე თურმე იმიტომ იყო რადგან მამამისი ტკბილეულის გამოგზავნას დაპირდა. ამ დროს მივხვდი თუ რაოდენ კარგად იცოდა ერეკლე მეორემ შვილის ყველა სურვილი და გრძნობა, თურმე იმ წერილში თეკლას ერეკლე აქებდა იმის გამო რომ მისი კალიგრაფია ძალიან ლამაზი იყო მისი წერილის აზრი კი ძალიან ღრმა. მთელი დღის განმავლობაში წერილით ჩახუტებული დადიოდა ის კიარა წერილ ჩახუტებულს დასძინებია. ყოველ დღე თითქმის ასე ხდებოდა. საბოლოოდ კი როდესაც მეფე ჩამოდიოდა პირველი თეკლა ხვდებოდა ის კი ძლიერად იხუტებდა. შემდეგ თეკლა ერეკლეს ყველაფერს უყვება რაც მაშინ მოხდა როდესაც წასული იყო. მეფის დაბრუნება ხშირ შემთხვევაში ხანმოკლე დგებოდა ამიტომაც თეკლამ გადაწყვიტა მამასთან სიტყვიერი ხელშეკრულება დაელო თითქოს მისი წასვლის შემდეგ სამეფოს თვითონ იბარებდა ცოტა ხნით და მართავდა. დაბრუნებულ ერეკლეს კი ყველაფერი უნდა ცოდნოდა რა ხდებოდა მისი წასვლის შემდეგ ქვეყანაში ან რამდენი იარაღი დამზადდა და ასე შემდეგ. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირი იყო. რაც მთავარია ერეკლეს არასდროს ავიწყდებოდა დანაპირები ის ხომ საუკეთესო მამა იყო ამიტომაც თეკლა ყოველთვის ტკბილეულებით იყო განებივრებული.

ჩემს გონებაში 239 წლის წინ ცხოვრება ასე წარმომედგინა. მართალია დღეები ისეთი ფერადი არ იქნებოდა როგორც ახლა მაგრამ მამა შვილური სიყვარული გაათბობდა მას. წარმომიდგენია როგორ სიამოვნებდათ ერთმანეთთან საუბარი მეფეს და მის ასულს. ხშირად 21-ე საუკუნეშიც კი ბევრი ნატრობს ასეთ ურთიერთობას მამასთან. ყველაზე ძალიან კი ის მწყინს რომ ჩემი თვალით ვერ დავინახე ასეთი სამაგალითო ურთიერთობა ერეკლესა და თეკლას შორის. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ რა მოხდებოდა თუ მეფე და თეკლა თანამედროვე სამყაროში იცხოვრებდნენ. თვალწინ

ბევრი თანამედროვე პრობლემა მახსენდება მაგრამ როდესაც საუკეთესო მამის ერეკლეს წერილს ვკითხულობ მახსენდება თუ რაოდენ მჭიდრო იყო მათი კავშირი და ურთიერთობა წარსულში და ვხვდები რომ ეს პრობლემები მათ ხელს არ შეუშლის რომ იყონ ისევ დიდი მაგალითი მამა შვილური სიყვარულისა. ძალიან მინდა ისევ ძველი ცხოვრება იყოს იმდენად ფერადი არა მაგრამ უფრო დიდი სიყვარულით სავსე რომელიც ახლა ყველას ყველაზე მეტად გვაკლია, თბილი მომენტები, ჩახუტებები, წერილები და გაცილებით დიდი დრო ერთმანეთისთვის. ეს არის მიზეზი რატომ მიყვარს თეკლა და ერეკლე მათ ის გააკეთეს რასაც ჩვენ ახლა ვერ ვაკეთებთ, სინამდვილეში არც ვცდილობთ. როგორ მინდა მათი გადმოყვანა თანამედროვეობას რომ შემეძლოს აუცილებლად გავაკეთებდი ამას და ვეცდებოდი ხალხისთვის დამენახვებინა რომ შექარყინულსა და ნუღლსში უფრო დიდი ბედნიერებაა ვიდრე ტექნოლოგიებში. დიდი სიამოვნებით ვინებივრებდი ტკბილეულებში თეკლასთან ერთად და ყოველდღე მივწერდი წერილებს მეფეს. ზუსტად ეს არის მიზეზი რატომ გავაცოცხლე ეს საბუთი ჩემი ესის დახმარებით, ჩემი აზრით აქ ის არის რაც ყველას გვაკლია და მინდა რომ ყველამ დაინახოს თუ რაოდენ დიდი ბედნიერებაა ხანდახან დაპირებაც კი ან პატარა წერილი ერთი დაკვირვება, ერთი შექება მამისგან ან თუნდაც უბრალო ჩახუტება. ამ წერილის შემდეგ ჩემს გულში ერთი ისეთი ძაფი აღმოვაჩინე რომელიც მაკავშირებდა მამასთან ის ძაფი რომელმაც ასეთი წერილი დააწერინა ერეკლე მეფეს. ვიცი ეს ძაფი ყველას გულშია მაგრამ რაღაც გვჭირდება რაც ამას გამოაჩენ, ჩემთვის კი ეს რაღაც ეს წერილი გამოდგა.

მართალია მოთხოვნილი არ იყო მაგრამ მე მაინც ბოლოს მინდა მივულოცო ჩვენს მეფეს ერეკლე მეორეს 300 წლის იუბილე. ერეკლე მეფე გილოცავ 300 წლის იუბილეს, მართალია ახლა შენს საგმირო საქმეებზე არ ვისაუბრებ მაგრამ მინდა გითხრა რომ ახლა შენი წერილი წავიკითხე რომელიც თეკლას მიწერე, ჩემთვის კი ეს წერილი ომის მოგებაზე ან რაიმე საგმირო საქმეზე უფრო დიდია რადგან შენ აქ იმას წერ რასაც გრძნობ და თან ამას ძალიან დიდად აქსოვ ყოველ სიტყვაში და ასოში. როდესაც ვკითხულობდი თავი თეკლას ადგილას წარმოვიდგინე და მივხვდი რას იგრძნობდა როგორ დიდ სიყვარულს და მზრუნველობას იგრძნობდა თეკლა. და კიდევ მინდა გითხრათ რომ საუკეთესო მამა იყავით არა იმიტომ რომ შვილს ტკბილეულის გაგზავნას დაჰპირდით არამედ იმიტომ რომ პირობა შეასრულეთ და ყოველთვის ცდილობდით თქვენი შვილი გესიამოვნებინათ და გაგხარებინათ. მე თქვენს ეპოქაში არ მიცხოვრია მაგრამ თქვენი გრძნობით დაწერილი წერილი ხელს მკიდებს და წარსულში მამოგზაურებს, იმ სიყვარულით სავსე სამაგალითო მამა შვილურ სამყაროში რომელის შექმნასაც ახლა ვცდილობთ მაგრამ არ გამოგვდის ისე როგორც წარსულში. მინდა იცოდეთ რომ დიდი საგანძური დაგვიტოვეთ მართალია აქ ბევრი ადამიანისთვის თქვენი მიღწევები იგულისხმები ომებში გამარჯვება და საქართველოს გადარჩენა მაგრამ მე აქ მე ისევ წერილს ვგულისხმობ ამ საგანძურისთვის კი დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. რომ შემეძლოს სიამოვნებით ვნახავდი თქვენს და თეკლას ურთიერთობას მაგრამ არ შემეძლია. ერთ დღეს ვიმედოვნებ რომ კაცობრიობა რამე ისეთს აღმოაჩენს ან გამოიგონებს რომ ეს შესაძლებელი გახდეს ამის შემდეგ კი ამას აუცილებლად ვიზამ. ბოლოს კი მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაგიხადოთ გასაოცარი მამობისთვის და რა თქმა უნდა მეფობისთვისაც.

მილოცვის ავტორი: ლეილა-ანნა ბესელია. ასაკი: 11 წლის, ქალაქი: თბილისი, სკოლა: 97-ე საჯარო სკოლა; კლასი: 7